

# საქართველო

კომუნისტური  
რევოლუციონერი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის  
კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო  
**ლ ე ლ ო** ორგანო კომიტეტისა ფიზიკური კულტურისა და სპორტისა პრის ობიექტის მინისტრის  
გუბრნიკისა სსრ და გუბრნიკისა რესპუბლიკისა ობიექტის მინისტრის

№ 145 (1315) ოქტომბერი, 4 დეკემბერი, 1958 წ. ბამონის მე-15 წელი. თასი 30 კპ.

**ხ ა რ კ ო ვ ი.** (ჩვენი სპეც. კორ.).  
მერვე ტურში გაფრინდაშვილი შეხვდა რუბკოვს. მუქი ღებინების შემდეგ ბრძოლა გათანაბრდა და მოწინააღმდეგენი 30-ე სულაზე ყაიშზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დაამთავრეს თავიანთი პარტიები ტოგონიმე მალინოვსთან, კაკაბაძემ ნისენბოიმთან და ტიხომიროვამ ბორისენკოსთან. დანარჩენი პარტიები არ დაამთავრებულა.

გადაღებული პარტიების დამთავრებისას გაფრინდაშვილს მოუხდა თამაში მხოლოდ ნისენბოიმთან, ვინაიდან სტრანდსტრემმა ბრძოლის განუახლებლად დათმო პარტია. ქართველმა მოჭადრაკემ კერ გამოიყენა საყაიშო შანსები და დროის გადაცილებით წაავი პარტია. ეს გაფრინდაშვილის პირველი დამარცხებაა. ამო აღმოჩნდა აგრეთვე ბოკოვას სწრაფვა გამარჯვებისაკენ ზეორიანსთან პარტიაში. შეხვედრა ყაიშით დამთავრდა. ახლა ტურნირის ლიდერობენ ბოკოვა და გაფრინდაშვილი, რომლებსაც რან-რან ქულა აქვთ.

დიდი წარმატებით დამთავრა პარტიები მალინოვამ, რომელმაც დაამარცხა ოსტატები გურფინკელი და იგნატიევა. ფილანოვსკიამ მოუგო გურფინკელს და დამარცხდა იგნატიევასთან, რაჟელმაც თავი



XXI პეიკონი

ვის მხრივ მესამე გადაღებული პარტია ბაქოელ ზატულოვსკაიასთან ყაიშით დაასრულა. ბაქოელმა მოჭადრაკემ პირველი დამარცხება მიაყენა როტარეს. როტარემ წაავი მეორე პარტია ტიხომიროვასთან. ყაიშით აღინიშნა ტოგონიმე ზატულოვსკაიასა და კუშნირტუბოვას პარტიები. ჩაიკოვსკიამ დაამარცხა გოიპენბერგი.

ამრიგად, 8 ტურის შემდეგ ბოკოვასა და გაფრინდაშვილს მიჰყვებიან ლ. ვოლბერტი — 5,5 ქულა, კ. ზეორიანი, ა. კუშნირი და ლ. ნისენბოიმი — 5 ქულა თვითულს.

## საბჭოთა სპორტსმენების წარმატება

სკანდინავიის ქვეყნების ტრადიციული პირველობა მაგიდის ჩოგბურთში დიდ ინტერესს იწვევს, ვინაიდან ადგილობრივ სპორტსმენთა გარდა მასში მონაწილეობენ ევროპის სახელმწიფოთა უძლიერესი სპორტსმენებიც. ამ შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობენ საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლები.

ცნობილი ფრანგი სპორტსმენი პაგენაუერი, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი მსოფლიოში, შეხვდა ახალგაზრდა საბჭოთა ჩოგბურთელს ავერინს. ყველა წინასწარმეტყველებდა ფრანგის იოლ გამარჯვებას, მაგრამ ავერინმა მოიგო შეტად ძნელი მატჩი. ამის შემდეგ ავერინი შეხვდა კარლსონს (შვეიცია). გაიმარჯვა კვლავ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელმა. ავერინი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა პეტერსონთან (შვეიცია) და პარტია წაავი.

პაშკაივიჩუსმა (სსრ კავშირი) კარგ სტილში დაამარცხა ჯერ იენსონი (შვეიცია). ხოლო შემდეგ — ფრანგი კოსენი. წარმატებით გამოდის აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენი რამანაუსკაიტე. რომელმაც მოიგო ყველა შეხვედრა და გაიჭრა ნახევარფინალში, სადაც შეხვედრა ცნობილ ინგლისელ სპორტსმენს დ. როუსს.

## ბრძოლა სანჯარჯიუს იარაღებთან

სსრ კავშირის 1958 წლის პირველობა

**მ ო ს კ ო ვ ი.** (ჩვენი სპეც. კორ.).  
მოსკოვის სპორტის სახალისო მანუალური დანიუო სსრ კავშირის პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები, ცნობილი ოსტატები ბ. შახლინი, ი. ტიტოვი, ა. ზარაინი, ვ. მურატოვი, ს. მურატოვა და სხვანი.

გუნდურ პირველობაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკებს კოლექტივები. წინა წლებისაგან განსხვავებით გუნდურ ჩათვლაში უფროსებთან ერთად მონაწილეობენ ჯაბუკები და გოგონები.

შეჯიბრების პირველ დღეს ბრძოლაში ჩაებნენ ქალები და ჯაბუკები (სავალდებულო პროგრამა). ოსტატ ჯაბუკთა შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა ურალელ ვ. ლისიკის — 5,5 ქულა. მეორე ადგილზეა საქართველოს გუნდის წევრი ნ. მაკალათია. პირველობის რიგოსან ჯაბუკთა შორის წინაა კარბელაშვილი (საქართველო). გუნდურ ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის ჯაბუკები მესამე ადგილზე იყვნენ.


ქალთა შორის 28,2 ქულით დაწინაურდა მოსკოველი ლ. კალინიჩა. მას მცირე განსხვავებით ჩამორჩა ე. მურატოვა (მოსკოვი). საქართველოს ქალთა გუნდი ჯერჯერობით მეხუთე ადგილზეა.

თ. სანჯარჯი; სპორტის ოსტატი.

## ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი

ევროპის კალთბურთის კავშირის გადაწყვეტილებით მომავალი წლის თებერვლიდან დაიწყება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება სპორტის ამ სახეობაში ქალთა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ბელგია, ბულგარეთმა, უნგრეთმა, საფრანგეთმა, სსრ კავშირმა, რუმინეთმა. ჩეხოსლოვაკიამ, იუგოსლავიამ, პოლონეთმა და გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ.

ჩემპიონთა თასის მორიგი მფლობელი გახდება ხვალ, 5 დეკემბერს.




ამ სურათებზე აღბეჭდილია კადრები მოკლემეტრაჟიანი ფილმიდან, რომელიც გადაიღო ფიზკულტურის ინსტიტუტის კინომაყარულთა ჯგუფმა.  
რეცენზია ფილმის შესახებ იხ. მე-3გვ.

## ჩინელ ძალოსანთა სანი მსოფლიო ჩემპიონი

ამას წინათ ბეკინში შეიკრიბნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთისა და უზბეკეთის ძალოსანები. შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა შორის.

მიმდინარე წელს ჩინელმა ატლეტმა ხუან ციან-ხოიმ (მსუბუქი წონა) აკერაში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 155 კილოგრამი, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ხაოლიანმა (სინგაპური) ეს შედეგი 2,5 კილოგრამით გააუმჯობესა. ამიტომ იყო, რომ შეჯიბრებაზე მოსული მაყურებელი დიდი ინტერესით ელოდა მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენის გამოსვლას. მოსალოდნელი იყო, რომ ჩინელი ძალოსანი, რომელიც ჩინურ ფორმაში იმყოფებოდა, ძლავ დაბრუნებდა მსოფლიო რეკორდს. ასეც მოხდა, ხუან ციან-ხოიმ აკრა 158 კილოგრამი და ძლავ დაიბრუნა მსოფლიო რეკორდსმენის სახელი, იგი უძლიერესი იყო კლასიკურ სემპალში — 387,5 კგ.

სანჯარჯი გამოდგა მხატვრულად ძალოსანთა შეჯიბრება. გამარჯვებულის სახელა დაისაყუთრ



ეს ეკიპები წარმოდგენილია ჩვენი გაზეთის მიერ საქართველოს II სპარტაკადის სამკერდე ნიშნზე გამოცხადებულ კონკურსზე.



# შეჯიბრება, როგორც სპორტსმენთა ოსჯაობის ამაღლები სპორტული



საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სპორტული ორგანიზაციების ცხოვრებაში შეჯიბრებებს. მათი სისტემატური ჩატარების გარეშე სპორტი დაკარგავდა თავის ცხოველყოფელ ძალას. სპორტული შეჯიბრება წარმოადგენს სპორტით მეცადინეობაში ახალგაზრდობის ფართო მასების ჩაბმისა და სისტემატური მეცადინეობის, მათ შორის მორალურ-ნებელობითი ჩვეულება ალზრდის მძლეო საშუალებას. ფიზიკურების კოლექტივების სპორტული მუშაობის მიზანდასახულების, ცალკეულ სპორტსმენთა მოზადების დონის ობექტიური და სწორი განსაზღვრა ხდება სწორედ სპორტული შეჯიბრების მეშვეობით.

სპორტულ შეჯიბრებასა ჩატარების აუცილებლობისა და მნიშვნელობის შესახებ ზეკრი რამ შეიძლება ითქვას. მაგრამ ყველაფერი ეს გამართლებული და მიზანშეწონილი აქნება თუ შეჯიბრებებს ექნება რეგულარული, გეგმიური და ახლა შემთხვევითი და ეპიზოდური ხასიათი, სხვა სატყვეებით, თუ ყოველი მათგანი წარმოადგენს კანონიერი რგოლს მთლიან სისტემაში. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყოველი შეჯიბრება წინასწარ იქნას დაგეგმილი და თავისი მოთხოვნებითა და პროგრამით. შეეცადება მოხდეს სპორტული მომზადების დონის მოცემული პერიოდისათვის და, რაც მთავარია, ჩატარებულ იქნას მაღალ ორგანიზაციულ და სპორტულ დონეზე, სულ ერთია, იქნება ეს ზაონის, რესპუბლიკისა თუ საბჭოთა კავშირის პირველობა.

საქართველოს ფიზიკურ-სპორტული ორგანიზაციები ბოლო წლებში სისტემატურად ასრულებენ მაღალი თანრიგების სპორტსმენთა, პირველ ყოვლისა ოსტატთა მოზადების ვეგმას. თუ ავიღებთ სექციებში მომუშაობენთა საერთო რაოდენობას და მომზადებულ სპორტსმენთა რიცხვს შეფარდებებს, ჩვენი რესპუბლიკა პირველ ადგილზეა კავშირში. ამ წარმატებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა შეჯიბრებათა რაოდენობის შევსება და გაზრდა მაღალი თანრიგების სპორტსმენთა მონაწილეობით (განსაკუთრებით ისეთ სახეობებში, როგორც კლასიკური და თავისუფალი ჯიუდო, ტანვარჯიში, მსლეონობა, სპორტული თამაშები და სხვ.).

მიმდინარე წლის განვლილი 9 თვის მანძილზე საქართველოს ფიზიკურ-სპორტული ორგანიზაციებში მომზადდა 95 სპორტის ოსტატი. ჩვენმა ახალგაზრდა ოსტატებმა რ. შავლაყაძემ, ბ. ნიკიტინმა, მ. ქოჩიაშვილმა, ლ. ტულუაშვილმა, რ. კახიანიძემ, მ. ნინოშვილმა და სხვებმა მაღალ შედეგებს მიაღწიეს სწორედ იმის წყალობით, რომ ხშირად მონაწილეობდნენ შეჯიბრებებში.

მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არიან მწვრთნელები და სპორტსმენები, რომლებიც ექვის თვლით უტყპირენ ყოველ ახალ შეჯიბრებას. ხშირად ისინი სხვადასხვა მიზეზებისა კი პოულობენ, რათა თავი აარიდონ შეჯიბრებაში მონაწილეობას. მათ გამოუმუშავებელი აქვთ მცდარი თეორია, თითქოს საჭიროა მონაწილეობა მხოლოდ ე. წ. „საპასუხისმგებლო“ შეჯიბრებებში და ისიც სპეციალური მომზადების შემდეგ ხშირად შემთხვევით, როცა ამ „საპასუხისმგებლოს“

## 3. სამსონაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ-სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

მიღმა იმლება პირადი და ვიწრო საუწყებო ინტერესები. და ხშირად სწორედ ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებშია, რომ სპორტსმენები ვერ აღწევენ თავიანთ მაღალ შედეგებს. არის შემთხვევები, როცა სპორტსმენები იფიქრებენ რომ მაღალ შედეგებს მათ მიღწეის მხოლოდ შეჯიბრებებში ხშირი მონაწილეობის წყალობით. მათ ეშინიათ, რომ ვეღარ გაიმეორებენ ასეთ შედეგებს, თავს არიდებენ შეჯიბრებებს და მათი ოსტატობაც ქვეითდება.

მაგრამ მხოლოდ შეჯიბრებათა ხშირი ჩატარება თავისთავად არ იძლევა სპორტული ოსტატობის ზრდის გარანტიას. ძირითადი გზა მაღალი შედეგებისაკენ ესაა სისტემატური, სანჯარული, სრულყოფილი სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობა, ყოველ შეჯიბრებას, რომელშიც მონაწილეობს სპორტსმენი, მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა. როცა იგი ორგანიზებად დაკავშირებული სასწავლო-სპორტულ მუშაობასთან და არ არღვევს მის მთლიანობას.

თუ დღეს არავინ დავობს სრულყოფილი სასწავლო-საწვრთნელი მუშაობისა და შეჯიბრებათა ხშირი ჩატარების შესახებ, ჯერჯერობით სავსებით გარკვეული არაა საკითხი, თუ როგორ უნდა განვიხილოდნენ შეჯიბრებებში კალენდარული წლის განმავლობაში. არ არის გარკვეული მათი ადგილი წვრთნის მომზადებულ და გარდაამავალ პერიოდებში. სპორტულ დონისძიებათა კალენდარი, როგორც წესი, მთვლიანწინებს წელიწადში რამდენიმე მსხვილ შეჯიბრებას სპორტის ყოველ სახეობაში. მაგრამ მათი ჩატარების ვადები და პირობები ზოგჯერ ისეთია, რომ იწვევს სერიოზულ წინააღმდეგობას შეჯიბრების ორგანიზატორთა და მასში მონაწილე სპორტსმენთა შორის, რომლებიც ამ დროისათვის სპორტულ ფორმაში არ იმყოფებიან.

ცნობილია, რომ სპორტსმენს არ შეუძლია მთელი წლის განმავლობაში მზად იყოს მაქსიმალური შედეგების ჩვენებისათვის. მისი მოზადების მრუდეს აქვს როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი პერიოდები. ცხადია სპორტსმენი, რომლის მრუდის მწვერვალი დაემახვიება შეჯიბრების ჩატარების დროს, წარმატებით და ხალისით მონაწილეობს მასში და, პირიქით, თუ იგი არ არის მზად ამ დროისათვის, შეჯიბრებაში მონაწილეობს უფულოდ და შედეგაც შესაბამისად დაბალია.

როგორც წესი, სპორტსმენთა უმრავლესობა წვრთნის მომზადებულ პერიოდში ეწევა ამ ხანისათვის დამახასიათებელ მზადებას და ამ დროისათვის არა თუ საჭირო, წინააღმდეგ ნაჩვენებია შეჯიბრებებში მონაწილეობა თავის სახეობაში. ისმება კითხვა, როგორ მოექცეთ იმ შეჯიბრებებს, რომლებიც ემთხვევა წვრთნის საერთო მიღებულ მომზადებულ პერიოდს. საჭიროა თუ არა მათი ჩატარება?

ჩვენის აზრით, შეჯიბრებათა ჩატარება საჭიროა სპორტის ყველა სახეობაში და მთელი წლის განმავლობაში (თუ ამის საშუალებას იძლევა კლიმატური პირობები). ეს მეთოდურად გამართლებული იმით, რომ სპორტსმენთა ნაწილი დიდ შეჯიბრებასათვის წლის სხვადასხვა დროსაა მზად და უნ-

და მიიღონ მათში მონაწილეობა. ეს სასურველია მათი სპორტული ოსტატობის შემდგომი პროგრესისათვის. გარდა ამისა, არის სპორტსმენთა ისეთი კატეგორია, რომლებიც წლის განმავლობაში ორჯერ შედიან სპორტულ ფორმაში და თანაბრად წარმატებით გამოდიან როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის შეჯიბრებებში. მაგრამ როგორ უნდა მოექცა სპორტსმენებს, რომლებიც მოსამზადებელ პერიოდში ჯერ არ არიან მზად მაღალი შედეგების ჩვენებისათვის? საჭიროა თუ არა მათთვის შეჯიბრება ამ მომენტში?

დიახ, საჭიროა. მაგრამ არა ისე, როგორც ეს ზოგჯერ ხდება ახლა. ამ შეჯიბრებებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს გუნდური ხასიათი სავალდებულო გამოსვლით ყველა ნომერში. მათი პროგრამა უნდა გამარტივდეს. მაგალითად, მძლეოსანთათვის შეჯიბრების პროგრამაში შეიძლება ჩაერთოს რბევა 60, 300, 500, 1.000 მეტრზე, ხტომები ადგილიდან და სხვ. ამ შეჯიბრებათა კალენდარი უნდა შედგეს ისე, რომ მტყორცნელს ან მსტომელს მიეცეს ვთქვათ, მოკლე მანძილებზე რბენის საშუალება. ხოლო მორბენლებს — გამოსვლა ხტომებსა და ტყორცნებებში. ტანვარჯიშში შეიძლება შეჯიბრების ჩატარება ცალკეულ იარაღებზე და ასე შემდეგ.

არაფერია ცუდი იმაში, თუ მტყორცნელთათვის ზამთარში ჩატარებულ შეჯიბრებას სიმძიმეთა აწევში გამარტივებული პროგრამით, ან შეჯიბრებას ტანვარჯიშში კუთვნილ მსტომელთათვის. ასეთი შეჯიბრებები უნდა ორგანიზდეს იქნას დაკავშირებული მოცემულ პერიოდში წარმოებულ სასწავლო-საწვრთნელ მუშაობასთან.

წვრთნის დაქვემდებარება შეჯიბრებასთან და შეჯიბრებისა — წვრთნისათვის უნდა ყოველმხრივ შეთანხმებული იყოს. ცალმხრივობა აქ დაუშვებელია. რამდენიმე სიტყვა ე. წ. უფრო საპასუხისმგებლო და ნაკლებად საპასუხისმგებლო შეჯიბრებათა შესახებ.

ყოველ შეჯიბრებას აქვს თავისი განსაკუთრებული ემოციური ელფერი და სპორტული საფუძველი. შეჯიბრებებში მონაწილეობისას სპორტსმენი იმყოფება წინადა სპორტულ განცდათა გავლენის ქვეშ და ვარჯიშების შესრულებისას მოქმედებს სულ სხვა ატმოსფეროში, ვიდრე წვრთნის პროცესში. სხვადასხვა სპორტსმენი სხვადასხვაგვარად განიცდის ამ ატმოსფეროს. ზოგჯერ იგი მოქმედებს უფრო ძლიერად, ზოგჯერ — ნაკლებად. მაგრამ ეს ატმოსფერო, ბრძოლა მაღალი სპორტული მაჩვენებლებისათვის დიდ საჩხუბრს წყაროს, რომელსაც შეაქვს დიდი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ცვლილებანი ორგანიზმში. რომლებიც ხელს უწყობენ სპორტული ოსტატობის მნიშვნელოვანად ამაღლებას. ის, რაც ერთხელ გაკეთდა დიდი ემოციური ზეგავლენის წყალობით, შეიძლება შემდეგ განმეორდეს საწვრთნელ ვითარებაში, ხოლო სისტემატურად განმეორებამ წვრთნის დროს შეიძლება მოიტანოს კიდევ უფრო მეტი ეფექტი ახალ შეჯიბრებაში. ზოგიერთი სპორტსმენი სწორედ და უნარბუნად იყენებს შეჯიბრების პირობებს მაქსიმალური შედეგების

ჩვენებისათვის, მაშინ, როცა ზოგიერთი შეჯიბრებაზე გამოდიან აღმაჯობის გარეშე, მოძრაობებს ასრულებენ უნდობლად, უხალისოდ. ზოგიერთი სპორტსმენი პასუხისმგებლობის მაღალ გრძობას განიცდის ყოველგვარი მასშტაბის შეჯიბრებაში მონაწილეობისას, ზოგიერთი კი მცირე მასშტაბის შეჯიბრებებს უგულოდ ეპყრობიან. ეს ძლიერი უვლია, როცა სპორტსმენი ეჩვევა შეჯიბრებაში უპასუხისმგებლოდ მონაწილეობას და საკუთარ თავს ერთგვარ შედეგათს აძლევს. ასეთები ტყუილებიან იმით, რომ თითქოს შეჯიბრებაში მონაწილეობისას მიზნად დასახული აქვთ არა საერთო მაღალი შედეგების ჩვენება, ან ბრძოლა პირველობისათვის, არამედ ვარჯიშთა ცალკეული ნაწილების ტექნიკის სხვადასხვა ვარიანტთა შემოწმება და ა. შ. ასეთი სპორტსმენი მოცემული შეჯიბრებიდან ვერავითარ საარგებლობას ვერ გამოიტანს.

ჩვევა — წაგო შეჯიბრება ტოლის სიძლიერის მოწინააღმდეგეთან რამე საბაბით, მეტად საზიფთო ჩვევა და შეიძლება საშუალოდ განმტკიცდეს სპორტსმენში. აი რატომ, რომ ყოველი შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობს სპორტსმენი, უნდა მისთვის საპასუხისმგებლო და ნამდვილი სპორტული ბრძოლით აღსავსე იყოს. თუ შეჯიბრებაში მონაწილეთა ძალები არათანაბარია, საჭიროა შევიმართოთ განდიკას, ვორას და სხვა საშუალებები.

თუ სპორტსმენს არ უნდა დაპყრობოს ის, რაც მთავარია სპორტში — სწრაფვა გამარჯვებისაკენ, იგი ერთნაირი სერიოზულობით უნდა მოექყარს ყოველგვარ შეჯიბრებას, თანაბარი მონდომებით იბრძოდეს დაბრკოლებათა გადასლახავად. მაღალი შედეგების მოსაპოვებლად.

ყოველგვარი შეჯიბრება ხელს უწყობს სპორტსმენთა ოსტატობის ზრდას თუ იგი ტარდება დროულად, მიზანშეწონილი პროგრამით და მაღალ ორგანიზაციულ დონეზე. ყოველმა სპორტსმენმა უნდა იცოდეს, რომ მაღალი სპორტული ოსტატობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ შეჯიბრებებში სისტემატური მონაწილეობით როგორც ძირითად, ისე დამხმარე ვარჯიშებში და სრული კალენდარული წლის განმავლობაში.

### გიორგი

ამხანაგური შეხვედრებისათვის ფეხბურთში, ფრენბურთსა და კლათბურთში ამას წინათ სტუმრად იმყოფებოდნენ რუსთავის სპორტსკოლის მოსწავლეები. ისინი შეხვედრენ გორის სპორტსკოლის მოსწავლეებს.

ფეხბურთში 6:3 გამარჯვება რუსთავის გუნდმა. სტუმრებმა გამარჯვეს აგრეთვე ფრენბურთულ ვაფთა და ქალთა შეხვედრებში მასპინძლებმა რევანში აიღეს კლათბურთელთა შეხვედრებში.

### 2. რომინოვი

### ახალწიხე

ამას წინათ პედაგოგიურ სასწავლებელში ჩატარდა მოსწავლეთა პირველობა — მძლეოსნობისა და ფრენბურთში. მძლეოსნობაში გუნდური პირველობა II-ა კურსის გუნდს ხვდა წილად, ხოლო ფრენბურთში — IV-ა კურსის გუნდს.

### 3. კახალიანი

### თელავი


თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ხუთ დღეს მიმდინარეობდა შეიდასკოლექტივი სპორტის და, რომლის პროგრამაში იყო სპორტის ექვსი სახეობა. საერთო პირველი ადგილები მოიპოვეს ოსტრია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა.

### 4. ჩიკვაძე

### ქასპი

სპორტის დამახასიათებელმა ოსტატმა ვ. ჯ. ლავაქიძემ წყობა საჯარო ლექცია თემაზე „საბჭოთა მოქიდევები მსოფლიოს სარბიელზე“. ლექციის შემდეგ გამართა რაიონის უძლეურეს მოკლავეთა საჩვენებელი გამოხვედრები.

### 5. გეგლაძე



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოსტატის ფაკულტეტის კომპიუტერულმა ორგანიზაციამ ამ დღეებში მოწარმოა სპორტის სპორტული ვებტრანსმისიონის შეხვედრა მიეცენა სამამულეო ფეხბურთის 60 და საქართველოს მსაჯთა კოლეგიის 35 წლისთვის.

დამსწრნი გულთბილად შეეგებნენ ბ. პაიჭაძეს, მ. ბერძენიშვილს, ბ. დორაშვილს, გ. ანთაძეს, მ. პანუკოვს, ა. დობოტაძეს, მ. გოჯაძეს, ა. ხარბიას.

სიტყვებით გამოვიდნენ ა. კეკელია, რ. მეტრეველი, ი. კობახიძე და სხვანი. საპასუხო სიტყვები წარმოთქვეს ბ. პაიჭაძემ და გ. ანთაძემ.

სურათი: ვ. ჯ. (მარჯვნივ) ა. ხარბია, ბ. პაიჭაძე, გ. ანთაძე და პრაფესორი დ. გვრიტიშვილი.


ტექსტი და ფოტო: ზ. რუსთავის



# მაგიდის ჩოგბურთი სპარტაკილის სახეობა

სპარტაკილის 1958 წლის პირად-გუნდური პირველობა

სულ სხვა ელფერს ატარებს უძლიერეს მაგიდის ჩოგბურთელთა ბრძოლა პირადი პირველობისათვის. აქ შეხვედრათა სიმძაფრეს განაპირობებს არა მარტო სპორტსმენთა თანაბარი ოსტატობა, არამედ მაღალი ნერვული დაძაბულობაც. ასე იყო მთელ რიგ მეოთხედფინალურ შეხვედრებში, ასე იყო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრის დროს თბილისელ სპორტსმენებს ასლანანასა და არუთინოვს შორის. ჩვენ არ მოვყვებით იმის გარჩევას, თუ რომელი მათგანი უფრო ძლიერია, რომელ მათგანს აქვს მეტი შანსი და პერსპექტივა. აღნიშნული ბრძოლა ამის უფლებას არ გვაძლევს. შეგვიძლია მხოლოდ ერთი ფაქტის კონსტატირება: ასლანანა და არუთინოვს ნერვები გაცილებით უფრო წესრიგში ჰქონია, ვიდრე მის გამოცდილ მეტოქეს — ასლანანას. ბრძოლის შედეგი სწორედ ნერვებს შორის შეჯიბრებამ გადაწყვიტა. არუთინოვმა პირველივე პარტიიდან დაიწყო აგრესიული ბრძოლა. ძლიერი დარტყმები მარჯვნიდან და მარცხნიდან, მოკლე, მოკრიბილი დარტყმები ცვლიდნენ ერთმანეთს. ასლანანა იძულებული იყო გადასულიყო დაცვაში და მხოლოდ ეპიზოდურად ეწარმოებინა კონტრშეტევი. მაგრამ იგი ჭერ კიდევ თავისუფლად მოქმედებდა, რადგან მთავარი ბრძოლა წინ იყო. მეორე პარტიაში ინიციატივა ასლანანამ იღო ხელთ და გაიმარჯ-



სურათზე: მიმდინარეობს შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში.

ვა კიდევ. მესამე პარტია კვლავ არუთინოვმა მოიგო. აქ უკვე ასლანანას უმტყუნა ნერვებმა. მან, როგორც ჩანს, არასწორი გადაწყვეტილება მიიღო იმის შესახებ, რომ შეხვედრას ვერ მოეგებდა. დაიკარგა სწრაფად, გაქრა დარტყმების ძალა და თუ ასლანანამ მაინც შეძლო მეოთხე პარტიის მოგება, მხოლოდდასოვილი გამოცდილების წყალობით. მეხუთე, გადამწყვეტი პარტია ჰგავდა უველაფერს, წამყვან ჩოგბურთელთა შეხვედრის გარდა. ნერვულმა დაძაბულობამ ისეთ დონეს მიადგინა, რომ სპორტსმენები უბრალო მოწოდებასაც კი ვერ იღებდნენ, იშვიათად თუ ბედვად ნენ ძლიერ დარტყმას. მეხუთე პარტია მოიგო არუთინოვმა (21:17), ვინაიდან ბოლომდე შეძლო საბრძოლო სულის შენახვა. ასლანანა კი აღრე შურისძიება და მარცხი და ეს იყო მისი წაგების მთავარი მიზეზი. უ. ი. წარმატებისათვის საკმარისი არ ყოფილა მხოლოდ მაღალი ოსტატობა, პირველი ადგილის პრე-

ტენდენტს წესრიგში უნდა ჰქონდეს ნერვები და, რაც მთავარია, უნდა შეეძლოს ბრძოლა გამარჯვებისათვის უკანასკნელ წამამდე. ამ მხრივ „იდეალური მდგომარეობა“ აქვს რესპუბლიკის ჩემპიონს კულაშვილს, რომელიც დამარჯვებულ უახლოვდება ფინალს. მერვედფინალში მან „მშრალი“ ანგარიშით — 8:0 დაამარცხა ქუთაისელი ბალაბუდოვი, ხოლო მეოთხედფინალში თბილისელი შარაშენიძე (8:0). მესამე ნახევარფინალისტი გამოვლადგა გრიგოლია-რუსტამ-ბეგოვის შეხვედრაში. გრიგოლიამ მოიგო ბრძოლა სამ პარტიაში. ღარიბაშვილმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხა გალუსტოვი და ისიც გავიდა ნახევარფინალში. ამრიგად რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებისათვის მებრძოლთა შორის გავიდა ოთხი თბილისელი: კულაშვილი, გრიგოლია, ღარიბაშვილი და არუთინოვი.

ქალთა შორის წარმატებით იბრძოდნენ იზაშვილი, რომელმაც დაამარცხა ქვათაძე (8:0), ფერაძე, რომელმაც მოუგო სიჩოვას (8:1), ყუფარაძე (დაამარცხა სტრეღინკო 3:0) და ხანთაძე (დაამარცხა დოლიძე — 8:0). საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ვაჟა წყვილების კულაშვილი-ღარიბაშვილის შეხვედრა ქვხაშვილი-შარაშენიძესთან. პირველებმა მოიგეს მატჩი მეხუთე გადამწყვეტ პარტიაში. დანარჩენ მონაწილთა ტექნიკური შედეგები ასეთია: კანდარიანი-სხარულიძე — ნაცვლი-შვილი-ბალაბუდოვი — 3:0, ასლანანა-არუთინოვი — შენგელია-კაზარანი — 3:0, ცაგარელი-გრიგოლია — გალუსტოვი-რუსტამბეგოვი — 3:0. ქალთა წყვილები — იზაშვილი-ხანთაძე — ქვათაძე-სიჩოვა — 3:0, ფერაძე-ყუფარაძე — პილეცაია-კალინინჩიკო — 3:0. შეჯიბრება დამთავრდა გუშინ. ნ. ასვლიანი.

### პეტიკრას ჩოგბურთელი ჩემპიონატის მონაწილე

კარგ ტრადიციულ ვეჯეტარულ წილურად ვეტრან ჩოგბურთელთა ტურნირების ჩატარება. ამ ტრადიციის მიხედვით ნოემბრის დასასრულს თბილისის ფიზკულტურის კომიტეტმა მოაწყო ქალაქის მორიგი პირველობა, რომელმაც 19 „მოხელე“ მიიზიდა. მონაწილეთა შორის მაცურებლებმა ნახეს ჩვენი რესპუბლიკის ჩოგბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, საქართველოსა და თბილისის უცვლელი ჩემპიონი 1918-1926 წლებისა, 61 წლის მუდმივად „უბაბუი“ ი. გომეზი, 1935-36 წლების ჩემპიონი ე. მერეკული, ძველი სპორტსმენი, ამჟამად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ქიმიის კაედრის გამგე, დოცენტი ბ. გერასიმოვი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის ასისტენტი ა. არაბიძე, გ. ბაბანასოვი, ნ. კაპანაძე, ი. გიგულაშვილი და სხვანი. შეჯიბრებამ ცოცხლად და საინტერესოდ ჩაიარა. ფინალამდე დაუმარცხებლად მივიდნენ ა. არაბიძე და ე. მერეკული, რომლებმაც ნახევარფინალში შესაბამისად დაამარცხეს ბ. გერასიმოვი (6:0, 6:4) და ი. გიგულაშვილი (5:7, 6:2, 6:3). მათ შორის გამართული ფინალური ბრძოლა დამთავრდა ე. მერეკულის გამარჯვებით (6:3, 6:1), რომელმაც ვეტრანთა შორის თბილისის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ლ. თაუიზვილი

## საიუბილეო ჯილდოზე

სამამულო ფეხბურთის 60 წლის-თავისადმი მიძღვნილ ტურნირში ჩატარდა ბოლო შეხვედრა ქვეჯგუფებში. მას შემდეგ, რაც თბილისის „ბურვესტნიკმა“ წააგო შეხვედრა აფხაზეთის გუნდთან, ქუთაისის ლოკომოტიველებს გზა გაუხსნათ პირველი ადგილისათვის, მაგრამ ეს გზა საკმაოდ რთული იყო, რკინიგზელებს ანგარიშით 5:0 უნდა დაემარცხებინათ თბილისის ტრამეი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი, რომ შურთების შეფარდებით გაესწროთ „ბურვესტნიკისათვის“.

ნინო გენაძის განმარტებით უპირატესობა, მაგრამ ტრამეი-ტროლეიბუსისა და მეკარე შარაშენიძე წარმატებით იცავდნენ კარს. ტაიშის დასასრულს თამაში გათანაბრდა და 35-ე წუთზე სემიონოვმა ვერ გამოიყენა საბასუხო ბურთის გატანის ამკარა შესაძლებლობა. მეორე ტაიში „ლოკომოტივმა“ კვლავ შტურმით დაიწყო და მე-11 წუთზე გომელაურმა ანგარიშით 3:0-მდე აიყვანა. ქუთაისელთა გამარჯვება უამრავ რეალურ ფაქტად იქცა და ტრამეი-ტროლეიბუსის წყვილი აქტიური ბრძოლა მიმდინარეობდა. ანგარიშით 5:0 გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“. საიუბილეო ჯილდოს ფინალურ მატჩში 5 დეკემბერს ერთმანეთს შეხვდებიან სკო (თბილისი)-ლოკომოტივი“ (ქუთაისი).

## მეორე ევკი

დამთავრდა სპორტულ ტანვარჯიშში თბილისის პირველობის მეორე ეტაპი. ვაჟთა შორის, რომლებიც ოსტატის პროგრამით გამოდიოდნენ, მრავალწილად პირველი ადგილი დაიკავა შ. რეზერვების წარმომადგენელმა ნ. ფრიდონოვალმა — 106,1 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან ჯ. ელიზბარაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და ჯ. კვანტალიანი („ლოკომოტივი“). ცალკეულ იარაღებზე პირველი ადგილი დაიკავებს ნ. ფრიდონოვი (ლეჩხი, რგოლები, თავისუფალი ვარჯიში), რ. შარაბიძე

(ორძელი, ბჯენიანი სტომები) და ჯ. ფრიდონოვი (ტაიქი). ქალთა შორის პირველ ადგილზე კვლავ „მშრალი“ რეზერვების წარმომადგენელი გამოვიდა — თ. ბეთანელი. მან თანაბარი სიმძაფრით ჩაატარა ვარჯიშები და დააგროვა 72,5 ქულა. გამარჯვებულს 0,2 ქულით ჩამორჩა მ. ნინოშვილი, მესამე ადგილზე დაიკავა მ. ჭულაშვილი. ორი ტურის შედეგად გამარჯვება მოიპოვეს „დინამოს“ ტანვარჯიშელებმა. მომდევნო ადგილებზე არიან „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივს“ გუნდები. ლ. ლეონიძე

## „ქართული ფალაგები“

„ქართული ფალაგები“ — ასე უწოდეს თავიანთ პირველ ფილმს საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის კინომოყვარებლებმა, რომლებმაც ფიზიკური კულტურის ისტორიის კათედრის მასწავლებლის ა. ციბაძის ხელმძღვანელობით შექმნეს მოკლემეტრაჟიანი მხატვრულ-დოკუმენტალური ნარკვევი ა. ციბაძისა და მ. თარხნიშვილის სცენარის მიხედვით. კინომოყვარებლებმა სცადეს ფართო საზოგადოებისადგის ეჩვენებინათ სპორტულ თემებზე აგებული ნაწარმოები, რომელიც მინახველს მოუხსნობს ქართული ერთგული ჰიდაობისადმი ხალხის სიყვარულს. მის პაპულარობაზე, თუ რაგორ შეუწყობ ხელი ქართულმა ჰიდაობამ საერთაშორისო სარბიერებში გამოსვლას კლასიკურ და თავისუფალ ჰიდაობაში. ფილმი უბრალოდ იწყება. ფიზკულტურის ინსტიტუტში ქართული ჰიდაობის შესახებ ლექციის კითხვობს ლექტორი, რომლის ნაამბობი ეკრანზე ცოცხლდება. ჩანს ძველი და ახალი ქართული სოფლები, სადაც ყველაზე საყვარელ გასართობს წარმოადგენს ჰიდაობა. გემოვნებთანაა გაკეთებული კადრები ნინოშვილში — ფლოვანთა ამ ძველ კერაში, როცა ნორჩი მწყემსების ძიძგილაობის შემყურე ცხვრის ფარიდან გამოსული ყორები თათქოს ცთუნებას ვერ უძლებენ. ჰიდაობის მართავენ... ახალგაზრდა შემოქმედს მთელი თავიანთი უნარი და მონღოშობა არ დაუშურებიათ სოფლის ამ შესაწარმავ სურათებს სწორად გადმოცემისათვის.

კადრი კადრს ცვლის და, ამ ეკრანზე ჩნდებიან ცნობილი ფალაგები კ. გლდანელი, ნ. ესეშვი, მ. მაჩაბელი, მ. ქურბული, შ. ვერელი, ს. კანდელაკი და სხვები, რომელთა სიაში სამართლიანად შეიტანეს განთქმული გოლიათი ა. მერკოიშვილიც, თუმცა იგი არც ისე დიდი ხანია, რაც წარმატებით გამოდიოდა საერთაშორისო სარბიერებში. უფროსი თაობის განთქმული მოქრევეთა ისტორიამ, ლექტორის შესანიშნავმა საუბარმა არ შეიძლება არ აღაგზნოს ახალგაზრდობა და, მართლაც, მოქმედება გადადის ჰიდაობის მოყვარულ სტუდენტებში სავსე ინსტიტუტის დარბაზში, სადაც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მ. თიკანაძე ატარებს მორიგ შეცადინეობას. მწვრთნელმა კარგად იცის, რომ მისი ბევრი აღსაზრდელი ოცნებობს საკავშირო და, იქნებ, მსოფლიო ჩემპიონობაზეც. ამიტომ ურიგო როლი იქნება შეხვედრებზე უამბოს ზოგი რამ მის მიერ წინახიდან დიდ შეჯიბრებებზე, ან ჩვენი დროის გამოჩენილ ქართველ ფალაგებზე — უნებურად ფიქრობს მაცურებელი და მწვრთნელი იწყებს ამის თხრობას. ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან ვ. ბალაყაძის, გ. კარტოზიას, დ. ციმაქურიძის, მ. ცალქაღანიძის, გ. ხშირტაძის, თ. კანდელაკის მიერ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე ჩატარებული შეხვედრების ამსახველი კადრები, რომელთა დიდი ღირსება ისაა, რომ ჰიდაობის მოყვარულთა იმ

ნაწილს, რომელსაც საშუალება არა ჰქონია ენახა ხალხის სახელგანთავის ოსტატთა ფანდები, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც უკმაყოფილებენ ინტერესს. მოყვარული თაერთობების გასარჩევად, თ. ციკლინიძისა და ვ. კალანდარიანის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ კარგად გადაუწყვეტიათ ჩვენი სპორტსმენების საზღვარგარეთ ჩატარებულ ტურნირთა ჩვენების საკითხი. ცენტრალური კონსტუტუტის ქრონიკის მსალეებისა და თავიანთ ნაშუქვართა ორიგინალური შერწყმით შექმნილ ეჩვენებინათ ჩვენი სახელოვანი მოქრევეების გამოსვლებში ჰელსინკის, ტოკოს, სტამბოლისა და სხვა ქალაქების სარბიერებში. მომთხვენმა, ობიექტურმა მაცურებელმა შეიძლება ბევრი რამ ჩრდილოვანი მხარეებზე შეამჩნიოს აღნიშნულ ნაწარმოებში, მაგრამ იგი არასოდეს არ წაუწყუნებს მათ ისეთ მოთხვენებს, რომსი თქმაც შეიძლებოდა სპეცილისტთა შესახებ და უდავოდ კმაყოფილი დარჩება ახალგაზრდული კოლექტივის ამ ნაშრომით, ფილმი, რომელიც მიეძღვნა ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავს, წარმატებით დაიცავს რესპუბლიკის ღირსებას კინომოყვარულთა ჯგუფების მიერ შექმნილი ფილმების საკავშირო ფესტივალზე მოსოვში, რომლის ჩატარება უახლოეს ხანშია განზრახული. ი. გელაშვილი



ამას წინათ ჩატარდა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პლენუმი, რომელმაც მოისმინა სპორტ-საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის გ. იოსებაშვილის მოხსენება „პროფკავშირთა VI საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადში მონაწილეობისა და მომავლის ამოცანათა შესახებ“.

პლენუმზე აღინიშნა, რომ „განთიადის“ სპორტსმენებმა მნიშვნელოვანი მზადება ჩატარეს რესპუბლიკურ და საკავშირო სპარტაკიადებში წარმატებით მონაწილეობისათვის. „განთიადის“ ძირეული კოლექტივების უმრავლესობამ, სარაიონო და საქალაქო საბჭოებმა ჩატარეს თავიანთი სპარტაკიადები. რესპუბლიკაში არსებული „განთიადის“ 945 ძირეული კოლექტივიდან სპარტაკიადებში მონაწილეობა მიიღო 902 კოლექტივის 85423 სპორტსმენმა, რამაც უზრუნველყო „განთიადის“ ნაკრები გუნდების გამარჯვება საქართველოს პროფკავშირთა II სპარტაკიადზე.

სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში ძირეული კოლექტივების ნაყოფიერმა საქმიანობამ ხელი შეუწყო აგრეთვე ნიშნისებისა და თანრიგისების, საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმების გადაჭარბებით შესრულებას, შეიქმნა 85 ახალი ძირეული კოლექტივი. ფიზკულტურული რიცხვი გაიზარდა 6.162 კაცით.

ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბორჯომის, ზუგდიდის, მხარაძის, სამტრედიის, ტყიბულისა და სხვა ორგანიზაციებმა. ამ პერიოდში შეიქმნა არაერთი კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა, ძირითადად დამთავრდა საცურაო აუზის მშენებლობა ორთაქალაქში, მწყობრში ჩაღმა კალათბურთის სტადიონი ქიათურაში, ტყიბულში დამთავრდა 10-ათას ადგილიანი სტადიონისა და საცურაო აუზის მშენებლობა, დასასრულს უახლოვდება გორის ბაშბელის კომპლექსის, თბილისის შამპანური ღვინის ქარხნის, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ბაზების კეთილმოწყობა.

საზოგადოების ძირეულ კოლექტივებში, სარაიონო, საქალაქო და საოლქო საბჭოებში წარმატებით დანიერგა და ხორციელდება ღონისძიებანი შეჯიბრებათა ახალ-სისტემით ჩატარებისათვის. მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა „განთიადის“ ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობაში ჯერ კიდევ იგრძნობა სერიოზული ნაკლოვანებები. თუ არა საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებით რით უნდა ახსნას ის ფაქტი, რომ სპარტაკიადისათ-

სპორტული საზოგადოება „განთიადის“ კლანში

ვის მზადების პერიოდში სპარტაკიადები არ ჩატარებიათ მცხეთის, საგარეოსა და გურჯაანის რაიონულ საბჭოებს.

ძირეული კოლექტივების მნიშვნელოვანი ნაწილი ორგანიზებულად არ არის განმტკიცებული. განვლილ პერიოდში საზოგადოებების წევრთა ზრდა არ მომხდარა აბაშის, გეგეკორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ლაგოდეხისა და სხვა რაიონებში. ხშირია შემთხვევა, როცა პროფკავშირის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი დარჩენილია ფიზკულტურული მუშაობის გარეშე. მაგალითად, სახელმწიფო ეკურობის პროფკავშირის წევრთა მხოლოდ 4,6 პროცენტი ჩამძლე სპორტში, ავტოტრანსპორტის მუშაკთა — 7,4 პროცენტი, მანქანთმშენებლობის მუშაკთა — 10 პროცენტი და სხვ. პროფკავშირუ-

ლი ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ სპორტულ საზოგადოებაში გაწევრიანებას. არ ზრუნავენ მშრომელთა შორის მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გაშლისათვის. ამ მხრე განსაკუთრებით „ისახელეს“ თავი თბილისის 26 კომისიის სახელობის ქარხანაში, რომლის ფიზკულტურული კოლექტივი მოწინავე იყო, სანამ აქ ძირეულ საბჭოს ხელმძღვანელობდა ახ. მუშენიანი. მას შემდეგ კი რაც იგი სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს, ფიზკულტურული მუშაობა საგრძნობლად მოიკოკლეს.

ფიზკულტურულ მუშაობას არასათანადო ყურადღება ექცევა აგრეთვე ფესხაცმლის №2, ავეჯის მე-5 ფაბრიკებში, „საქმურტრესტი“ და სხვაგან.

პლენუმზე აღინიშნა აგრეთვე, რომ ჯერ კიდევ დაბალია ზოგერთი სპორტსმენის დისციპლინა. ადგილი აქვს პირადი ინტერესების

კოლექტივის ინტერესებზე მაღლა დაყენებას. საქართველოს პროფკავშირთა II სპარტაკიადზე ბათუმის ლუიჯი ქარხნის სპორტსმენმა ჩერნომახმა ცხარემა შეჯიბრების რესპუბლიკურ სპარტაკიადში მსაჯს, რისთვისაც საპროტოკოლად მოიხსნა შეჯიბრებიდან. სპ. ბისტა საკავშირო შეჯიბრებზე მინსკში „განთიადის“ ნაკრები გუნდის წევრებმა სულაშვილმა, თთარაშვილმა და კუპატაშვილმა სასტუმროში ატეხეს დებოში, რისთვისაც დისკვალიფიცირებულ იქნენ, ხოლო სულაშვილს მოეხსნა სპორტის ოსტატის წოდება.

აღნიშნული ფაქტები ნათლად მეტყველებენ, რომ „განთიადის“ ფიზკულტურულ კოლექტივებში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის, საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის წარმატებით მოსამზადებლად.

პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

მწვრთნელმა ზ. ჰერბერგერმა შე-

სამჩნევად განაახლა გუნდი. ათოქმნის მთლიანად შეიცვალა თავდასხმა, სადაც აღარ თამაშობენ ეროვნული ნაკრების კაპიტანი ფრიც ვალტერი, შეფერი, შმიდტი, კელბახა, კლოდტი და სხვანი. ჰერბერგერის მაგივრად კარს იცავს ახალგაზრდა ტილტოვსკი. ასეთი შემადგენლობით გუნდმა ითამაშა სამი მატჩი და სამივე ფრედ დამთავრა (დანიასთან — 1:1, საფრანგეთთან — 2:2, ავსტრიათან — ბერლინში 2:2). საინტერესოა აღინიშნოს, რომ მწვრთნელის მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, გუნდის უძლიერეს ფეხბურთელად რჩება მისი „უხუცესი“ წევრი, მარჯვენა გარემარბი ჰელმუტ რანი. ეს ის რანია, რომელმაც მსოფლიოს V ჩემპიონატის ფინალურ მატჩში უნგრეთთან თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა. ჰერბერგერმა რამდენიმეჯერ გააუყვანა ნაკრებიდან რანი, მაგრამ ყოველთვის აძულეული ხდებოდა უკან დაებრუნებინა იგი. რანი ერთობ თავისებური ფეხბურთელია. იგი ნაკლებად ეთამაშება პარტიზონებს. არ მონაწილეობს იერიშებში და თიქოს „ისვენებს“ თავის ფრთაზე. მაგრამ რანი გრიგალისებურად არღვევს მეტოქის დაცვას. შედის ცენტრში და ძლიერად ურტყამს კარში. ასეთი გარღვევის დროს რანთან ბრძოლა მეტად ძნელია და მისი ინდივიდუალური იერიში მეტწილად გოლით მთავრდება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამ თამაშში გერმანელთა მიერ გატანილი 5 ბურთიდან 4 რანს ეკუთვნის. სწორედ მისი ასეთი აზვითი შედეგაანობის გამოა, რომ მწვრთნელი ზ. ჰერბერგერი იძულებულია აიტანოს ეს უადრესად „ზარმაცა“ ფეხბურთელი.

თავდამსხმელი სკაფინო, ბრაზილიელი მაცოლა, არგენტინელი გრილიო, ხოლო „ინტერნაციონალური“ — ანჯელილო (არგენტინა), შვედები ლინდსკოგი და სკოგლუნდი. მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1. ბურთები გაიტანეს ანჯელილომ და მაცოლამ.

არანაკლებ საინტერესო შეხვედრა შედგა ტურინში გასული წლის ჩემპიონ „იუვენტუსისა“ და ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „მილანის“ შორის. მატჩის დასაწყისში მილანელებმა გრილიომ, გალიმ და მაცოლამ შედიზედ სამი ბურთი გაიტანეს ჩემპიონის კარში. მ-მე წუთზე მილანის კარში პირველი საპასუხო ბურთი მოათვსა ბონიპერტიმ (იტალიის ნაკრების კაპიტანი). მეორე ტაიმის მე-18 წუთზე „იუვენტუსმა“ გაქვითა კიდევ ერთი ბურთი — 2:3, მაგრამ ორი წუთის შემდეგ „მილანის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა მაცოლამ კვლავ გაზარდა ანგარიში. ამას მოჰყვა „იუვენტუსის“ ხანგრძლივი იერიშები და მალე ჩარლზმა (უელსი) და სივორიმ (არგენტინა) გაათანაბრეს ანგარიში — 4:4. ეს დრამატული მატჩი ამით არ დამთავრებულა. შეხვედრის უკანასკნელ, 90-ე წუთზე „მილანის“ მარცხენა შუამარბმა გრილიომ მეხუთე ბურთი გაიტანა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

(4:4) „ფეხბურთის პროფესორად“ წოდებულმა მარჯვენა შუამარბმა მ. გრენმა განაცხადა, რომ იგი აღარ ითამაშებს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. გრენი უკვე 35 წლისაა და ამერიკიდან მხოლოდ თავისი კლუბის შემადგენლობაში გამოვა.

გელინიც გაიყიდა

როგორც იტალიური გაზეთი „უნიტა“ იუწყება, რომ-დე-უანე-როს კლუბმა „ვასკო და გამამ“ ესპანურ კლუბ „ვალენსიას“ მიყიდა ბრაზილიის ეროვნული ნაკრების კაპიტანი, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრალური მცველი ლუის ბელინი, რომელიც 28 წლისაა. ბელინის კლუბმა ბელინის საფასურად მიიღო 75 ათას-დოლარი.

ბელინი მეოთხე ბრაზილიელი ფეხბურთელია, რომელიც ევროპაში გაიყიდა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. როგორც ცნობილია, პელე მიჰყიდეს „რეალს“ (ესპანეთი), ვაჟა — „ატლეტიკოს“ (ესპანეთი), ხოლო მაცოლა — „მილანს“ (იტალია).

რედაქტორი ი. შუშუაშვილი.



თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მუშაობა დაიწყო ზამთრის საცურაო აუზმა. სხვებთან ერთად წვრთნას შეუდგნენ ნორჩი სპორტსმენებიც. სურათებზე: ზევით — „ნორჩ დინამოელთა“ მწვრთნელი ლ. იოკინიდი მითითებას აძლევს სტარტზე გამწვრივებულ მოცურავეებს; ქვევით — მისი ერთ-ერთი აღსაზრდელი დისტანციან ფოტო დ. ზალდასტანიშვილისა.



ფეხბურთის ახალი ამბები

3 მატჩი — 3 ფრა

ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა ფეხბურთში გერმანიის გუნდმა შვეიცარიაში კარგ შედეგს მიაღწია (IV ადგილი), მაგრამ სპეციალისტები მაინც სკეპტიკურად არიან განწყობილი დასავლეთ გერმანიის ფეხბურთისადმი. მათ მიჩნიათ, რომ ნაკრების კარგი შედეგები გერმანული ფეხბურთის აღმავლობას კი არ ნიშნავს, არამედ მწვრთნელის ზ. ჰერბერგერის მიერ „გამოწვრთნილი“ 22 ფეხის წარმატებას“. ამ ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილე პირველი ლიგის გუნდების დიდი უმრავლესობა სუსტად თამაშობს. მათში ნაკლებად არიან ახალგაზრდა ფეხბურთელები.

შვეიციის ტურნირის შემდეგ

გოლეზი გააქვთ

უცხოელ სანიკარებს

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატში ტონს უცხოელი ფეხბურთელები იძლევიან. ამას წინათ მეტად დამაბულ ბრძოლაში ჩატარდა წამყვანი კლუბების „მილანისა“ და „ინტერნაციონალის“ შეხვედრა. „მილანმა“ თამაშობენ შვეიციის ნაკრების კაპიტანი ლიედმოლმი, ურუგვაის ნაკრების ყოფილი

პირველ ადგილზე კონკურსში

შვეიციის გაზეთმა „სტოკჰოლმის ტაღინგენმა“ ჩაატარა ყოველწლიური კონკურსი თავის შვითხველებს შორის, რომელთაც უნდა დაესახელებინათ 1958 წლის საუკეთესო შვედი ფეხბურთელი. ხმების დათვლის შემდეგ გამოიკვია, რომ გამარჯვდა ეროვნული ნაკრების მცველმა ჰარვარ ბერგმარკმა. ო. ბერგმარკი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ექსპერტების ჯგუფის მიერ აღიარებული იქნა უძლიერეს მარჯვენა მცველად. მან 6.000 ხმით მეტი მიიღო, ვიდრე პოპულარულმა მარცხენა გარემარბმა ლ. სკოგლუნდმა და 12.000 ხმით მეტი. ვიდრე მარჯვენა გარემარბმა კ. ჰამრიმმა.

მას შემდეგ რაც შვეიციის ნაკრებმა ფრედ ითამაშა დანიასთან

4 დეკემბერი. თბილისის «მონაკ-პირის» სტანდი. რესპუბლიკური შეჯიბრება სასტანდო სროლაში საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის თასზე მონაწილეობენ რესპუბლიკის უმაღლესი სპორტსმენები და გუნდები.